№ 57 სახალხო გაზეთი № 57

ხუთშაბათი, 15 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

☛ სვით მხოლოდ ნაღდული წყალი ☚

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ქალაქ ტფილისის მცხოვრებთ, 14 ივლისს, დღის 3 ს. და 5 წ. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდე გარდაცვალებას ტფ. ქალაქის მოურავის

თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 ივლისს, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7½ ს. განსვენებულის ბინაზე, (ელისაბედის ქ. № 108). (1—6.—1)

**შვილები, ძმები, დები და სიძე თავ. ვასილი ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 14 ივლისს, დღის 3 ს. და 5 წ. გარდაცვალებას.

თავ. ვასილი ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 ივლისს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7½ ს. საკუთარ ბინაზე (ელისაბედის ქ. № 108) 1—6—1

**ამ წლის 7 მაისიდან გამოდის**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

*** ***ხელის-მომწერთა საყურადღებოდ*** ***

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

**„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.**

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

**ს. გურჯაანი**

შაბათს, 17 ივლისს 1910 წელს.

**გურჯაანის სამკითხველოს სასარგებლოდ** გაიმართება მხიარული

**საღამო-არიფანა**

მრავალის გასართობებით, სხვათა შორის გამოჩენილი **შანტეკლერი**, და დიდის დივერტისმენტით, წარმოადგენენ ქავჭავაძის „**დედა და შვილს**". დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი. ბუფეტი და ბოლოს ვახშამი.

მონაწილეობენ: სარაჯიშვილი, აბაშიძე, ჯიბლაძე ჯავახიშვილი, აბდუშელი, კარბელაშვილი, ზუმბულიძე და სხვ.

ფასები—1 მან.—50 კ.-მდის ბავშვებისთვის 50 კაპ.

დიასახლისი **კნ. დარია ანდრონიკაშვილისა.**

გამგე **ექიმი დიმიტრი ჯავახიშვილი.**

**ტელავში**

**(შორაპნის მაზრა)**

წელს 15 ივლისიდან ჩვეულებისამებრ განახლდა სახალხო

**იარმუკა**

(3—ფ.—3)

კვირას, 18 ივლისს,

დილის 10 საათზე, ქიათურის თეტრის დარბაზში მოხდება

**კრება შავის-ქვის ამხანაგობისა**

სხვა და სხვა საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. (5—4)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ფ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (ფ)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი ვ. ღამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (ფ)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით; ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ...ის ქუჩ., სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ... ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარზინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., ხუთშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**...ანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., ... პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**...ფირალდოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**...პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხოზთლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეილავათ. საფასურით. (200—6.—227)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გამყრელიძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. მიმინოვი**—ყელ., ყურ. ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—388)

გაზეთ „სახალხო გაზეთის" ქუთაისის ხელის მომწერთა!

**საყურადღებოდ**

უკანასკნელად ვსთხოვ გაზეთ „სახალხო გაზეთის" ქუთაისის იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც ხვედრი ფული ათას ცხრაას ათი წლის მეორე ნახევარისა თავის დროზე არ შემოუტანიათ, დააჩქარონ მისი შემოტანა.

ქუთაისის აგენტის ისიდორე ყვიცარიძის მეუღლე ნიფადორა კვიცარიძისა. (3—1)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—108)

**ექიმი** ბორჯომში **ა. ს. ალადაშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ვორონცოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—21

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (ფ)

**ექიმი ვაჟ. ი. გოკიელოვი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6—23)

**ექიმი** აბასთუმანში **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—19)

**ექიმი ვასილ წერეთელი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—ფ.—227)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია) (0—167

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი მ. ს. არჯევანიძე**

**ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიოდ. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., საზ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—გგ.—11)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ხარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ხუდაბაშევი**— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

**ბატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერ პია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5. საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—71)

**მოითხოვეთ ყოველგან**

ნამდვილი **სვირისა** და **კახური** ღვინოები

**ჩაჩიბაიასი**

იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო-რესტორანებში.**

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.

პატივისცემით **ჩაჩიბაია.** (20—გაჟ.—15)

**ზემო აჭარაში** იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სავალია.

იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

## დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსი)

14 ივლისი.

### საზღვარ-გარედ.

**სოფია.** ბოლგარიის პრესა კვლავ ეხება მაკედონიის საქმეებს. ოსმალეთისადმი მეგობრულად განწყობილნი გაზეთებიც კი ჰკიცხავენ ახალ რეჟიმის პოლიტიკას შესახებ მუჰაჯირებისა და მაკედონელთა იარაღის აყრისა. გაზეთები ახალგაზრდა ოსმალთა მთავრობას აბრალებენ მაკედონიის რაზმების მოქმედების განახლებას. ბოლგარიაში ოსმალები შეიარაღებულნი არიან და არც კი არავინა ფიქრობს იარაღი აჰყაროს რადგან იმათ არას დროს არ მიუმართავთ იარაღისათვის.

**ბერლინი.** „ფოსიშე ცაიტუნგს" ათონიდან დეპეშით აცნობებენ, რომ კვირას კრიტეს მთავრობამ საპასუხო მოხსენება ჩააბარა მფარველ სახელმწიფოთა ელჩებს. მოხსენებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფოების უკანასკნელ ნოტაში აღნიშნული სიტყვები რომ კრიტე ექვემდებარება ოსმალეთს—ძირიანად ეწინააღმდეგება წინანდელ განცხადებებს. ამის გამო ნოტამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა კრიტელებზე...

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატაში ლიბერალი რისა შეეკითხა მთავრობას, რუსეთსა, ინგლისსა და სპარსეთს შუა დადებული ხელშეკრულების მიხედვით, შესაძლებელია რომ სხვა სახელმწიფოებმა აიღონ რკინის გზის კონცესია სპარსეთში მოგვახსენოს მთავრობამ, თუ რა მდგომარეობაშია ბაღდადის რკინის გზის გაყვანის საქმე. საჭიროდა სცნობს თუ არა მთავრობა, რომ ინგლისმა თავს იდოს და რკინის გზა სპარსეთის ყურემდე გაიყვანოს. მაკკენვუდმა საჭიროდ ვერა სცნო პირველ შეკითხვაზე პასუხი მიეცა, ბაღდადის რკინის გზის შესახებ განაცხადა, რომ ჯერ ჯეროვანი გზის მიმართულების წინასწარი გამოკვლევა მოხდა—უმთავრესად ბუკურულუსა და მიზისის შუა. არის საფიქრებელი, რომ გზა გაიყვანონ თეკლის ლავამდინ. უკანასკნელ კითხვაზეც პასუხი არ გასცა.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატამ მეორედ გადაკითხვის შემდეგ მიიღო დროებითი ბიუჯეტი და შემდეგ შეუდგა ახლად ჯარში გაწვეულთა შესახებ კანონ-პროექტის განხილვას.

**პარიზი.** გამუდმებულ წვიმების გამო საფრანგეთში მოუსავლობას მოელიან. ამის გამო პურის ფასმა აიწია. მეპურეთა სინდიკატების კავშირის თავმჯდომარემ განუცხადა „მატენის" თანამშრომელს, რომ პურის ფასს კიდევ აჰწევთო.

**ბერლინი.** რომიდან ცნობა მიუღიათ, რომ კრისპის, სამინისტროს სტატს სეკრეტრად ნამყოფმა ორი შეკითხვა შეიტანა: ერთი შეკითხვით პროტესტს აცხადებს საერთ მშვიდობიანობის სახელით, რომ ოსმალეთი იღებენ სამთა კავშირში, მშვიდობიანობისათვის საზარალო იქნება ოსმალეთის ამ კავშირში მიღებაო; მეორე შეკითხვა ეხება იმას, რომ იტალია შედის სამთა კავშირში და რა ღონისძიება უნდა იქნას მიღებული ხმელთა შუა ზღვაზე იტალიის გავლენა ჰქონდესო.

**ზაგრები.** გამოქვეყნებულია მეფის რესკრიპტი, რომელიც არ იწყნარებს ტომაშევაჩის თხოვნას სამსახურიდან გადადგომის შესახებ. თუ საჭირო იქნება წარმოგვიდგინეთ ხოლმე ჩვეულებრივად თქვენი მოსაზრებანიო, ნათქვამია რესკრიპტში ტომაშევიჩის მიმართ. „პასტერლოიდი" ამ ბოლო სიტყვებს ისე ხსნის, რომ შესაძლებელია ხორვატის სეიმი დათხოვნილ იქნას, დაინიშნოს ახალი არჩევნები და შესდგეს მთავრობის ახალი პარტია ძველ კოალიციის ნაცვლად. ტომაშევიჩმა წერილი მისწერა სერბია—ხორვატიის კოალიციას და შეატყობინა მეფემ არ შეიწყნარა ჩემი თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებო. ტომაშევიჩი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საპარლამენტო წესწყობილების მიხედვით უარი სთქვით იუსტიციის მინისტრის გადაყენებაზეო.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესე" და „ნეის ვინერ ტაგებლატმა" წერილი დაბეჭდეს მილოვანოვიჩთან საუბარი შესახებ ავსტრია-სერბიის ხელშეკრულებისა. მილოვანოვიჩის სიტყვით, შეთანხმება მეტად ვიწრო ნიადაგზე, ორივე მხარემ საგრძნობლად დაუთმო. ერთი მეორეს, სერბია არ საჭიროებდა ხელშეკრულებას ავსტრიასთან, რადგან ის უზრუნველყოფილი იყო სხვა ადგილებში გაზიდა საქონელი. ამ ხელშეკრულობას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ვანახლებთ მეგობრულ დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოსთან. ავსტრია-ჰუნგრეთიდან შემოტანილმა საქონელმა იკლო. 40 მილიონიდან 17 მილიონზე ჩამოვიდა ამის ადგილი გერმანიამ დაიჭირა. მილოვანოვიჩი დარწმუნებულია, რომ კვლავ აიწევს ციცხვი ავსტრიის შემოტანილ საქონლის ღირებულებისა, რადგან სერბიის ეკონომიური განვითარება ყოველივე ეჭვს გარეშეა და შემოტანილ-გატანილ საქონლის რაოდენობაც მატულობსო. „ნეიე-ფრეიე-პრესეს" აზრით ხელსაყრელი არაა ავსტრია ჰუნგრეთისათვის. ამით მეტად დიდი ზარალი მოსდის ავსტრიის მრეწველობას. ამ ათ წელიწადში ასეთი საზარალო ხელშეკრულება არ ყოფილა შეკრული. „ნეიე ვინ. ტაგებ." მწუხარებით შენიშნავს, რომ ავსტრიის ადგილს სერბიის ვაჭრობაში დაიჭერს სერბიის მოკავშირე გერმანია. დრო არის ეხლა მაინც შეუდგეთ პრაქტიკულ მუშაობას ბალკანეთშიო.

**მარსელი.** დაიწვა სავაჭრო პალატის საწყობი. ზარალი რამდენიმე მილიონს უდრის.

**ლონდონი** დაიწვა ისტორიული კოშკი მენლოეში, გელვეის საგრაფოში. ცეცხლში დაიწვა კოშკის პატრონის ქალი, ორი მოსამსახურე სასიკვდილოდ დაშავდა.

### სპარსეთი

**თეირანი.** ფიქრობენ გააგრძელონ ბესტში ჯდომა მეჩეთში, თუ მთავრობა შვიდი დღის განმავლობაში არ აღმოაჩენს რუსეთის სეიდ-აბდულის მკვლელებს. რუსეთის მისია თხოულობს ოფიციალურად უარყოფილ იქნას „ერთობისა და პროგრესის" პარტიის პროკლამაციით გავრცელებული ცნობა, თითქოს რუსეთმა ულტიმატუმი წარუდგინა სპარსეთს.

ქერმანშახში ღამე სარბაზი შეიპარა რუსეთის საელჩოში. ყაზახებმა

სროლა ასტეხეს და ქურდი სასიკვდილოდ დასჭრეს. დილით ქურდის ამხანაგებმა ალყა შემოარტყეს საელჩოს გუბერნატორის დარაჯები მიეშველნენ საელჩოს დასაცველად და გაჰდევნეს სარბაზები. ელჩმა მოითხოვა, სპარსეთის მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღოს საელჩოს დასაცავადაო.

### ჰაერში ფრენა.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** მეციხოვნე ჰაერში მფრინავ ბატალიონის ოფიცრებმა გაუშვეს დირიჟაბლი. დირიჟაბლი გაფრინდა ქალაქს გარედ ციხეში. ჰაერში ნახევარ საათს დაჰყო და კარგად დაეშვა დაბლა. წყნარი დღე იყო.

**გატჩინო.** ავიატორი ლებედევი ჰაერში მფრინავ პარკის ოფიცრების სწავლებას შეუდგა. დღეს ფარმანის ჰაეროპლანით პორუჩიკ რუდნევთან ერთად ლებედევმა იფრინა 35 წუთი.

### რუსეთი

**კიშინევი.** სასამართლომ ვარტიკის სამკვიდრობელის მაძიებლის აზნაური კარამასკოვის შუამდგომლობა, სახელმწიფო ბანკისადმი, როგორც სამკვიდრობელის შემნახველისა, სამ-მილიონიან დავის უზრუნველყოფის შესახებ, უარჰყო.

**ვილნა.** გაიხსნა ლიტოვის სამოსწავლო საზოგადოების მიერ მოწვეული კრება. დიდი ყურადღება დაიმსახურა მოხსენებამ ლიტოველ სახალხო სიმღერების შესახებ, რომლის დროსაც აჩვენებდნენ სახალხო მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც.

**სმოლენსკი.** აზნაურმა ქალმა პოლონსკაიამ უანდერძა მთელი თავისი ძვირფასი მმოძრავი ქონება ვიაზემსკის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გასახსნებლად.

**კიშინევი.** ახალმა ნიაღვარმა გადააჭარბა წინანდელს. დაბლობები ერთს მთლიან ტბას წარმოადგენენ. ტირასპოლის ქუჩაზედ სახლები ორ არშინზეა წყალში. რკინის გზის ხიდიც წყალშია დამალული.

**ბალახანა.** საერობო კრებამ გადასდო მინინისა და პოჟარსკის ძეგლისთვის ნიჟნინოვგოროდში 500 მან. და დაადგინა ყოველწლიურ აძლიოს სოფ. პურეხის, პოჟარსკის სამშობლოში, სახელოსნო სასწავლებლის შესანახად, რომელსაც მინინისა და პოჟარსკის სახელობაზედ ხსნიან, 600 მან.

**ყაზანი.** ქალაქის სამმართველოს მიერ გამოწერილ ცეცხლის მქრობელი მანქანის გამოცდის დროს აფეთქება მოხდა. შეშინებული ხალხი გაიქცა. ახლო მყოფეთ ამჩნევიათ დამწვრები. ცეცხლის მქრობლები მანქანით ერთად შორს არიან გატყორცნილი. მომეტებულად დაშავდა ბრანდმეისტერი ლაბაევი, რომელიც საავადმყოფოში წაიყვანეს.

**პლოცკი.** საქონლის ჭირის გაჩენის გამო გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა საქონლისა და ღორების იარმუკა.

**არხანგელსკი.** გუშინ სატყეო დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება იმ საკითხის გასარკვევად, თუ როგორ მოწესრიგდეს უფრო რიგიანი და ვრცელი მოხმარება ჩრდილოეთის მდიდარი ტყეებისა. კრებებში მონაწილეობას იღებენ გუბერნიის მმართველი შიდლოვსკი, სატყეო უწყების მოხელენი, ადგილობრივი ბანკების წარმომადგენელნი და საბირჟო კომიტეტი.

**ტულა.** ავაზაკებმა მოკლეს სადგურ უზლოვაიას ახლო მემამულე ზავარზინი, 88 წლისა თავისს მამულში. გაიტაცეს 1000 მ. ძვირფასეულობა და ჭურჭელი. ეჭვი მიიტანეს მოხუც ლაქიასა და 5 გლეხზედ. ყველანი დაიჭირეს.

**კიშინევი.** რკინის გზის სადგურზედ დაიჭირეს ებრაელი გილფენბერგი, რომელსაც მოწესრიგებული ჰქონია კორესპონდენციების სამზღვარ-გარედ საიდუმლოდ გადატანა.

**ეკატერინბურგი.** საუწყებათაშორისო თათბირმა მსჯელობა იქონია სერგინო-უფალეის ქარხნის მდგომარეობის შესახებ. საჭიროდ სცნო ხისა და ლითონის დასამუშავებელი სახელოსნოსა და საწყობის გახსნა. დაადგინა იშუამდგომლოს მიწად-მოქმედების მთავარ სამმართველოს წინაშე სესხად მიეცეს 36,000 მან. აღძრულია საკითხი ხალუნიცის ქარხნებში მუშაობის დაწყების შესახებ სახელმწიფოს ხარჯზედ მუშების შუამდგომლობის გამო. თათბირმა უარჰყო შუამდგომლობა და თავის მხრივ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ხალუნიცის ქარხნების მიწის მოწყობამ პირველ რიგში გაიაროს. უთანხმოების გამო ნადელების თვისებაზედ მოხდა ახალი განხილვა ნიადაგისა და ძირითადი შეცვლა ჩერნოხოლუნიცის ქარხნის ნადელების პროექტებისა, რომლის მცხოვრებთა ნაწილსაც, ნადელების ერთმანეთთან დაშორების გამო, გადასახლება უხდება.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** საავენტოს ცნობებით პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 58, გარდაიცვალა 16, საავადმყოფოებში არის 275 კაცი. ქალაქის ახლო ადგილებში ავად გახდა 5. კვირის განმავლობაში პრონის მაზრაში, ნიკიტინის საერობო ნაწილში და 10 სოფელში ავად გახდა 44, გარდაიცვალა 7. გაიგზავნა საგუბერნიო ეპიდემიური რაზმი ფერშლებისა. ასტრახანის გუბერნია ხოლერის მხრივ არა საიმედოთაა გამოცხადებული. ეპიდემიის გაჩენიდან 10 ივლისამდე ქალაქში და მაზრებში ავად გახდა 404, გარდაიცვალა 179. ბუტურლინოვკაში, ბობროვის მაზრა, ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3, მორჩა 3. გომელში გემიდან გადმოიღეს ორი მიცვალებული და ერთი ავადმყოფი, მაზრაში ავადმყოფობა რვა სოფელშია. ყარსში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 6, ბაშ-შურაგელში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3. ორენბურგში ერთი შემთხვევა იყო, ავადმყოფი გარდაიცვალა. უსტურისკში 12 ივლისამდე ავად გახდა 70, გარდაიცვალა 20. ნიკოლაევში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2, ცალკე მოსახლეებში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1, ავად არის 24. ნოვოხოპერსისა და ბოგუჩარსკის მაზრებში, ვორონეჟის გუბერნიისა, გუბერნატორმა პირადად დაათვალიერა ხოლერიანთა ბარაკები და ადგილები, დაიარა ავადმყოფების სახლებშიაც. ვორონეჟში შესდგა სანიტარულ-აღმასრულებელი კომისიის სხდომა. მარიუპოლში თათბირი შესდგა ქალაქის წარმომადგენელთა, ერობისა, ექიმებისა და ქალაქის ადმინისტრაციისა ხოლერის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ. ეპიდემიამ ქალაქში 75 პროც. იკლო. გუშინ ავად გახდა 6, ნოვოჩერკასკში, რადგან სანიტარებს ძალიანა საჭიროებენ და არა ჰყოფნით, დონის ექიმთა საზოგადოებამ დაადგინა სასწრაფოდ გახსნან უფასო კურსები სანიტარ ქალ-ვაჟებისთვის. ხოლერის გავრცელების გამო ოდესის მაზრაში საერობო სამმართველომ მიიღო სასწრაფო ზომები საავადმყოფოების მოწყობისათვის. ოდესში საგუბერნიო საერობო სამმართველო უფასოდ სცრის ხოლერის წინააღმდეგ. ნიკოლაევში მოხდარ სანიტარების კრებაზე დაადგინეს, შეჰქმნან ორი სანიტარული რაზმი ქალაქის მიდამოებისთვის, თუ ხოლერა გაძლიერდა, შეჰქმნან მესამე რაზმიც, გამართონ ბარაკები და ცხელი წყალი უფასოდ აძლიონ, გაიყვანონ ტელეფონი შიროკაია ბალკასა და მეშკოვში, უკანასკნელში გამართონ საავადმყოფო 10 საწოლით.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალება** გუშინ, 14 ივლისს, 3 საათსა და 5 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის ქალაქის მოურავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 13 ივლისს ტფილისში ხოლერით ავად გახდნენ: 1) სანდრო შიოს ძე ბაბერაშვილი, 2) სილონ ოქროს ძე გიორგაძე, 3) ეფროსიმე მენთეშაშვილისა (გარდაიცვალა), 4) ლევან კოხუროვი, 5) ტორგომ შარუკიანცი (გარდაიცვალა), 6) უცნობი კაცი, სახელად ილარიონი (გარდაიცვალა), 7) მიხეილ ტობასოვი და 8) ილია გრინიუკი.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** ტფილისში ხოლერიანთა რიცხვი დღითი-დღე კლებულობს. ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 13 ივლისის დილის ცხრა საათიდან 14 ივლისის დილის ცხრა საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გამხდარა 5 კაცი. ხოლერის ნიშნებით—5. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 77, მოემატა—2, მორჩა და გამოეწერა—4, მოკვდა—1, დარჩა 74.

✦ **ხოლერა ალაგირში** (თერგის ოლქი). ალაგირიდან გვწერენ: 28 ივნისიდან ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა: ზაქარია ჩიხრაძე 50 წ. (გარდაიცვალა), მარიამ ლობჯანიძისა 78 წ. (გარდაიცვალა), მაია ლობჯანიძისა 63 წლისა (გარდაიცვალა), ილიკო მეტრეველი 28 წლისა (გარდაიცვალა), მაქსიმე მაისურაძე 33 წლისა (გარდაიცვალა), პავლე მაისურაძე 38 წლისა (გარდაიცვალა), ივანე კობრიძე 52 წლისა (გარდაიცვალა), თამარ ბიჭაშვილისა 53 წლისა (გარდაიცვალა), ზაქარია მეტრეველი 49 წლისა, იორდანე ჩიხრაძე 26 წ., სოფიო ლობჯანიძისა 20 წ., თემბროლია მეტრეველისა 21 წლისა, დღეფინე მეტრეველისა, 48 წლისა, ზექარა რეხვიაშვილისა, 44 წლისა, ალათი მეტრეველისა, 47 წლისა, მიხეილა მაისურაძე 16 წლ., გიგო მეტრეველი, 31 წლისა, მარინე მეტრეველისა 45 წლისა, ოლღა მეტრეველისა 22 წლისა, მარია ქუმსაშვილისა 23 წლისა, იაკობ ლობჯანიძე 22 წლისა, ნიურა სიმონოვი 18 წ., არინა ვოლკოვა 35 წლისა (გარდაიცვალა), ძარახ გოზუმოვი 55 წლისა (გარდაიცვალა), ანნა გოზუმოვისა 49 წლისა (გარდაიცვალა), ხადახც ბესოლოვი 31 წლ. (გარდაიცვალა), დარია რევაზოვისა (გარდაიცვალა), ნინა ზანგიევისა 65 წლისა (გარდაიცვალა), დუნია სუიარკინა 15 წლისა, ივანე იზმაილოვი 28 წლისა, პელაგია კულეშოვისა 53 წლ., ელენე ზ გალოვისა 18 წლისა, ბეჩირ მაკეევი 63 წლისა (გარდაიცვალა) და ამის გარდა ავად არიან 35 კაცი ოსი.

✦ **ახალი სკოლა.** სახალხო სკოლათ დირექტორმა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ბორჩალოს მაზრის სოფელ შახნაზარის მცხოვრებთა სასოფლო განაჩენი, რომლითაც ისინი თანხმობას აცხადებენ ხსენებულ სოფელში ორ-კლასიანი სკოლა გახსნან.

✦ **ახალი ნიხრი პურზე.** ტფ. გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა და ძალაში შევიდა ახალი ნიხრი პურზე. ფურნის პური პირველი ხარისხისა ღირს გირვანქა—4 კაპ., მეორე $3^1/_2$ კაპ., მესამე—$2^1/_2$ კ., თონის პური პირველი ხარისხისა ღირს—$4^1/_2$ კაპ., მეორე—4 კაპ., მესამე—3 კაპ., ლავაში ღირს: პირველი ხარისხისა—$4^1/_2$, მეორე 4 კაპ. პურის გამომცხობთ სასტიკად დაევალათ ყველა ხარისხის პური საყოფად იქონიონ.

✦ **გადასახლებული.** 13 ივლისს პუშკინის ქუჩაზე მორიგმა პოლიციელმა შეიპყრო ტფ. მ ალექსანდრე სერგოს ძე ავაქო რომელიც ოთხჯერ იყო ტრატიულის წესით გადასახლებ და ოთხჯერვე თავის ნებით რუნდა ტფილისში. შეპყრობ პოლიციის სამმართველოში მიი ნეს, მაგრამ დრო იპოვა და გაი პოლიციელი გამოეკიდა და მხოლ ექსარხოსის მოედანზე შეიპყრო პოლიციელის შემწეობით, რომ მაც თოფის კონდახის დარტყ მძიმედ დააშავა თავში. ავაქოვი ხეილის სამკურნალოში გაგზავნ

✦ **სასტუმროებისა და ნომ ბის დახურვა.** დღეს, 15 ივლ ქალაქის მეხუთე უბნის ყველა სტუმროებსა და ნომრებს დაჰხუ ვენ, რადგანაც მათ პატრონ დღემდე არ შეუტანიათ საქალ სტრაქტირო გადასახადები.

✦ **ტფ. გუბერნიის თავად- ნაურთა კრება.** 20 ივლისისათ დანიშნულია ტფ. გუბერნიის ვად-აზნაურთა საგანგებო კრ რომელიც განიხილავს საკითხს ვად-აზნაურობის საელექტრონო დგურის გაფართოვების შესახებ.

✦ **აბანოების დათვალიერე** გუშინ ქალაქის სასანიტარო კო სიამ წოვიანოვისა, თამამშევისა არღუთინსკის აბანოები დაათვა ერა. რადგან აბანოები მეტად ტისანიტარულ მდგომარეობაში მოჩნდა, კომისიამ შუამდგომლ აღძრა ხსენებულ აბანოების დახ ვის შესახებ.

✦ **ხოლერასთან ბრძოლა.** მესტნიკის თანაშემწე სენატო ვატაციმ ნება დართო ტფ. გუ ნატორს, რომ საერობო სათად გო თანხიდან 2.960 მან. როს ხოლერასთან ბრძოლას ამ კავკასიაში.

✦ **სეტყვის შედეგი.** როგო გვატყობინებენ, 3 ივლისის სეტყ გორის მაზრის სამ სოფელ მუღ წყაროსა, ბროლოსანისა და ტ ვინედის უბნისთვის 1.000 მან. რალი მიუყენებია.

✦ **ყალბი საბუთებით ფულ მიმღებნი.** 12 ივლისს მაძებარ ლიციის აგენტებმა შეიპყრეს სახ მწიფო ბანკის კანტორიდან ყალ საბუთებით 248 მან. 2 კ. მიმღ ისინი აღმოჩნდნენ: ტფ მაზრის

# ძველი რვეულიდან

მაშ შენ სცრუოდი, მაშ შენც სტყუოდი,
როს მეხვეოდი ღიმილით ყელზე?
არა უშავს რა, მე მაინც მინდა
გზა დაგილოცო სხვითა გულ-მკერდზე!
გზა მშვიდობისა, წადი, იარე,
წაიღე ჩემი წრფელი შენდობა,
ის, რაც მიყვარდა შენში, უშენოდ
არ მოისპობა, არ დაიმხობა.
შენ არ გიცნობდი—ის ჩემი იყო,
შენ აღარა ხარ, ის კვლავ ჩემია;
მე ჩემს ოცნებას ვეტრფოდი შენში,
ტკბილ-მწარე მასთან დამილევია!
იგი მე შევქმენ არარაიდგან,
მას მივე ოხვრა ჩემი გულისა,
მარტოობისა ფიქრით მოვქარგე,
ვუწოდე ჯადო სიყვარულისა!
კვლავ მეყვარება დიახ იგივე,
ჩემი აჩრდილი მარად უცვლელი,
საბრალო მონავ, არც შენა სტყუი;
ასეთი არი ცხოვრების ველი!
შენ ქია იყავ—გაგაარწივე,
ვერ შეიფერე—მაშ იჭიავე,
ოცნება ჩემი კვლავ სდგა კვარცხლბეკზე,
შენი ხსოვნა კი გავანიავე!
იყავ ტირიფი—ჩანგათ გაქციე,
და ასე ტკბილად სიმი თუ თრთოდა,
მხოლოდ იმისთვის, რომ მგოსნის ხელი
ასაჟღერებლად მას ეხებოდა!
მერწმუნე, რომ შენს უდაბნო გულზე
ვარსკვლავთა ხომლი თუ ლოცულობდა,
შენ აქ არაფერ შუა არა ხარ—
იქ სხივი ჩემი გაზაფხულობდა...
კმარა. და კიდევ გილოცავ გზასა,
წრფელი შენდობა წაიღე ჩემი,
მოვწყვიტე ვარდი, ვიჯერე გული,
მივთიბ-მოვთიბე ტურფა ედემი!..
მაგრამ თუ დარჩა ყვავილი სადმე:
მჭკნარი, უსუნო, ნასრესი ია—
დეე მოწყვიტოს, გულარხეინად
ის გამლელისთვის დამილოცნია!

**ი. ევდოშვილი.**

# ნაციონალიზმი ჩვენს დროში

I *)

მე-XIX საუკუნეში თვით ძველი და და დიდი ერებიც (გერმანელები და იტალიელები) მიისწრაფვიან გაერთიანებისაკენ და იბრძვიან ეროვნულ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შესაკრავად. ამ საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო ბრძოლა, უმთავრესად, ეროვნული დროშის წინამძღოლობით და ეროვნული ინტერესების დასაცავად სწარმოებს. ერისთავის ყველაზე უფრო მძიმე და აუტანელი უცხოეთის ბატონობაა. ეს შევიწროება აუტანელია არა მარტო ძალით დაპყრობილ ქვეყნებისათვის, არამედ იმათთვისაც, რომელნიც საკუთარის ნება-ყოფლობით და საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით შეუერთდნენ უცხო სახელმწიფოებს. მპყრობელ და დამორჩილებულ ეროვნებათა ერთად ცხოვრება ხანდახან ძლიერ ხელსაყრელიც არის ეკონომიურად ორთავე მხარესთვის, მაგრამ ესეც ვერა სპობს მათ შორის ნაციონალური უთანხმოებით გამოწვეულს ანტიპატიას. ინსტინქტიური ზიზღი და მძულვარება ისეთსავე დიდს როლს თამაშობს ეროვნებათა ცხოვრებაში, როგორც კერძო პირთა სულიერ მოძრაობაში. შეურაცხყოფილი ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარ ღირსებათა და სხვის ნაკლულევანებათა განდიდება—წარმოშობენ ხოლმე ეროვნულ უთანხმოებას, აძლიერებენ ანტოგონიზმს და ბოლოს აუცილებელი შეტაკებაც ხდება ერთა შორის, რაც სისხლის მღვრელ ომებს იწვევს და ძირიანად არყევს სახელმწიფოებრივი საძირკველებს.

(* იხ. „სახალ. გაზეთი" N 51.

მე-XIX საუკუნის ევროპაში ბუნებრივ ნაციონალურ ძალთა განვითარება სრულიად სამართლიან მოვლენად ითვლება; ეს ძალები აქამდე ან უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებული, ან განუწყვეტლივ იჩაგრებოდნენ საუკუნოების განმავლობაში, ან და მათი განვითარება თანასწორად ვერ მიდიოდა. ევროპის ხალხებს ჯერ უნდა შეეგნოთ თავიანთი უფლებები და მნიშვნელობა, მათ უნდა მოეპოვებინათ უფლებები თვით გამორკვევისა და შემდეგ უნდა დაესვათ საკითხი: შეეფერება თუ არა ნამდვილად მათ სურვილებს ევროპის პოლიტიკური რუკა. აი აქ უნდა გამოეცადნათ მათ თავიანთი ძალა იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენათ ჰქონდათ დამოუკიდებელ არსებობაზე უფლება, ან როგორ უნდა განსაზღვრულიყო მათი დამოკიდებულებანი სხვა ერებთან. ერთი სიტყვით სამართალი ძალას უნდა გადაეჭრა. ამიტომ, ევროპის სახელმწიფოების მეფეთა და მმართველთა კონგრესის შემდეგ ვენაში, ეროვნული აჯანყებები ევროპის პოლიტიკურ ისტორიაში უმთავრეს ძარღვს, დიდ მნიშვნელოვან ცენტრს შეადგენს.

ევროპის ერებს ჯერ კიდევ ვერ მოეშორებინათ თავიდან ის სხვათა ბატონობა, რომელსაც ისინი განიცდიდენ მე-XII საუკუნიდან. ბალკანეთის ერებში, რომლებიც ასე საცოდავად ჰკუთავდნენ ოსმალეთის მონობის ქვეშ, ყველაზედ ადრე სერბებმა მოიპოვეს საკუთარი ძალ-ღონით თავისუფლება და საძირკველი ჩაუყარეს ეროვნულ სახელმწიფოს. ბერძნებმაც დაიცვეს თავიანთი ეროვნული არსებობა; სამშობლოსადმი შეუდარებელი სიყვარულის წყალობით ბერძენთა უდიდესმა ნაწილმა დამოუკიდებელი სახელმწიფოც კი დაიარსა.

გერმანიის დაქსაქსული პატარა სახელმწიფოები, ეროვნულ პრინციპების სახელით, თავს იყრიან და აარსებენ ერთს მთლიანს და ძლიერ გერმანიის იმპერიას. ამავე დროს გაერთიანდება იტალიაც, ავსტრია დუალისტურ სახელმწიფოთ გარდაიქცევა (ავსტრო-უნგრეთი). პოლონელები თავგანწირვით იბრძვიან დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღსადგენათ.

თანამედროვე სახელმწიფოები, ცოტათ თუ ბევრად, სხვა და სხვა ეროვნებათაგან შესდგებიან; ამასთანავე ზოგიერთებში (გერმანია, რუსეთი, ჰუნგრეთი) ერთი ერი ან რიცხვით სჭარბობს მეორესა, ან კულტურულად მეორეზე მაღლა სდგას; ზოგი კი ასეთს მოვლენას ოდნავ თუ შეამჩნევთ (ავსტრია, შვეიცარია).

ჩვენი დროის სახელმწიფო კულტურულ მიზნებსაც ემსახურება, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ის ეკონომიური ორგანიზაციაა. თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიური მიზნები მჭიდროდ არის გადახლართული სამხედრო ორგანიზაციის მიზნებთან; ორივენი კი ერთად ბუნებრივ საზღვრებს დაეძებენ სახელმწიფოსათვის მის გასაფართოებლად და ძლევა მოსილების გასავრცელებლად. მაგრამ ეს „ბუნებრივი საზღვრების" პრინციპი ჰბადებს ურიცხვ ბოროტმოქმედებას გაბატონებული ელემენტების მიერ. რამოდენიმე ერის თანაცხოვრება და მათი მოქცევა ერთ სახელმწიფოს ჩარჩოებში არა იშვიათი მოვლენაა; ხშირად გარემოება აუცილებელიც ხდ მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგ უნდა მოეწყოს ეს თანაცხოვრ

როგორ უნდა შეუთანხმდეს მანეთს ეროვნებათა და სახელმ ფოს ინტერესები? ამნაირად, ერ ნული საკითხი ძლიერ დიდ რო თამაშობს თვით შინაურ პოლ ტიკის ცხოვრებაშიც; ამავე დრ ესევე საკითხი უმთავრეს ღ შეადგენს საერთაშორისო და კიდებულებებშიაც.

სახელმწიფო მაშინ უფრო მტ ცედ შეკრულს ერთეულს წარმ დგენს, როცა იგი თავის მართ გამგეობას ზნეობრივ კანონებზე ამყარებს. ამიტომ ძველი ავტოკ ტიული სახელმწიფოც არ ეფუძ ბოდა მარტო ძალდატანებასა იძულებაზე: იგი ზნეობრივ ს ციას რელიგიაში ეძებდა, რად ქვეშევრდომთა სულიერი ცხოვ ბის უმთავრესს შინაარს მაშინ მ ლოდ ის შეადგენდა. აი, ამ მხ სარწმუნოებრივი ერთობა დიდ ლად ითვლებოდა და მთავრო სცდილობდა შეექმნა და შეენარ ნებინა მცხოვრებთათვის ეს მთლ ნობა. თანამედროვე სახელმწი ეს უარჰყო; მან სარწმუნოება თ თეულ პირთა სინიდისის საქმედ არა; ამიტომ ეკლესიაც გამო ზოგიერთ სახელმწიფოს. სარწ ნოებრივი მთლიანობის ნაცვ ეხლანდელი სახელმწიფო ამაგრ თავის ძალას ეროვნულ კულტუ მთლიანობაზე; ამისათვის კი ს როა ამ უკანასკნელის შექმნა გაძლიერება. ამ მიზნის განსახ ციელებლად ზოგიერთი სახელმ ფო, სადაც უფლებრივი წეს რ ჯერ საკმაოდ არ არის გატარე

ფელ ფანასკურის მცხოვრები დავით ჭაჭანიძე და ლეჩხუმის მაზრის მცხოვრები სერგიონ ყიფიანი. ზედ მხოლოდ 9 მან. აღმოაჩნდათ. ბოროტმოქმედებაში გამოტყდნენ.

◆ **დაჯარიმება.** ტფ. გენერალ გუბერნატორმა 100 მან. დააჯარიმა ალექსანდრე პეტროვსკი შეუფერებელ ფორმის ტანისამოსის ტარებისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ.

◆ **სენატორ რეინკეს მოგზაურობა.** 14 ივლისს დილის ხუთ საათზე სენატორ რეინკესა და პროკურორ ფეოდოროვს თიანეთიდან დუშეთში გამოუვლიათ. ადგილობრივ სამომრიგებლო სასამართლოს საქმეთა რევიზიის შემდეგ სენატორი იმავ დღეს ტფილისისკენ გამომგზავრებულა.

◆ **ხოლერა დუშეთის მაზრაში.** როგორც გვატყობინებენ, ხოლერას თავზარი დაუცია დუშეთისა და მის მაზრის მცხოვრებთათვის. ამ დღეებში იქ ჩასულან ტფ. გუბერნატორი და საგუბერნიო ექიმი ქიქოძე, რომელთაც კრება გაუმართავთ ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშავებლად. თავად-აზნაურობა შუამდგომლობს, რომ გუბერნიის თავად-აზნაურობამ ფული გადასდოს ხოლერის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ტფილისში დაბეჭდილი ფრანგული წიგნი Poésies par Sazan d' Ary წიგნი შეიცავს პატარ-პატარა ლექსებს, დაბეჭდილია მერვედი ფორმატისა და ღირს ათ შაურად. როგორც „ზაკავკაზიემ" გვაცნობა Sazan d' Arv ფსევდონიმია ელისაბედ ორბელიანისა, რომელმაც ნიჭიერად ჰსთარგმნა ფრანგულად „დემონი" ლერმონტოვისა.

◆ 13 ივლისს პოლიციას გამოეცხადა მიხეილ ალექსის ძე ალექსანდროვი და განუცხადა, რომ ადმინისტრატიულის წესით ვიყავ გადასახლებული და ჩემის ნებით დავბრუნდიო. ალექსანდროვი შეაპყრეს.

◆ 13 ივლისს საერთო ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ 53 უპასპორტო შეიპყრო.

◆ ს. ძველ-გავაზში ივანე ბერკაშვილისთვის თავისს ცოლს მაკაიას მთაუჭრია სთ. ცოლი თურმე ჭკუაზე შეშლილი ყოფილა.

◆ 13 ივლისს პოლიციელმა შეიპყრო სოფ. ქვიშხეთის მცხოვრები დავით ალექსის ძე ქადიაშვილი, რომელსაც ბრალად ედება ქეიფობის დროს ხუციშვილისთვის 35 მან. ამოცლა.

◆ 14 ივლისს დილის 5 საათზე თბილისის ფოსტის უმთავრესს კანტორაში უცბად გაისმა თოფის გრიალი. ყარაულებმა თოფებს ხელი წაავლეს. ფოსტის შენობაში ერთი ალიაქოთი ასტყდა; ეზო პოლიციელებით გაივსო. ბოლოს გამოირკვა, რომ თოფი უცაბედად გავარდნოდა მორიგ ჩაფარს.

## სავალდებულო დადგენილებანი

**ტბილისის გუბერნიის სოფლელ მცხოვრებთათვის ხოლერობის დროს.**

1. სახლის პატრონი ან მისი მოურავი, ბინის დამქირავებელი, სასტუმროსი, ღამის თავშესაფარისა, ქარხნებისა და სახელოსნოების, არტელების დამქირავებელ-პატრონნი და აგრეთვე ავადმყოფის ახლო მყოფი პირნი ვალდებულნი არიან საცა კი შეამჩნევენ ვისმე ხოლერით ავადმყოფობის ან საეჭვო ნიშნებს—პირღებინება, ფაღარათობა—დაუყოვნებლივ შეატყობინონ სოფლის მამასახლისს ან მისს თანაშემწეს, აგრეთვე იმ ნაწილის სანიტარულ მზრუნველს, სადაც ავადმყოფი იმყოფება.

2. ექიმები ვალდებულნი არიან ყოველი ხოლერიანი ან საეჭვო ავადმყოფის შესახებ, ჩვეულებრივი წესით საგუბერნიო სამმართველოს საექიმო განყოფილების შეტყობინების გარდა, დაუყოვნებლივ აცნობონ ადგილობრივ ბოქაულსა და სანიტარულ მზრუნველს.

3. ხოლერიანის ან საეჭვო ავადმყოფის განავალი, აგრეთვე მისი ტანისამოსი, ლოგინი და ყველაფერი, რასაც კი ავადმყოფი შეეხო, უნდა დაუყოვნებლივ ექიმის ან ამისთვის დაყენებული კაცის ჩვენებით უვნებელი იქმნას.

4, ხოლერიანი ავადმყოფის პირნაღები და განავალი უნდა გადიღვაროს ფეხის ადგილებსა ან ამისთვის მომზადებული ორმოებში, მხოლოდ იმათი უვნებელი ქმნის შემდეგ ექიმის ჩვენებით, მის მოსავლამდის კირით. (შენიშვნა: სათილში ჩაყარეთ დაუწვავი კირი, დაასხი ცოტა წყალი და როცა დაიწვება, სულ გაავსეთ წყლით).

5. ხოლერის გაჩენისათანავე დაუყოვნებლივ უნდა დროებით, სანიტარული კომისიის განკარგულებამდე, დაიხუროს ჭები იმ უბნებში, სადაც ხოლერის შემთხვევები იქმნება, თუ იმ უბნის მცხოვრებლებს შეძლება აქვთ ისარგებლონ სხვა ადგილების უფრო კარგი წყლებით.

6. ყველა საზოგადო და სამრეწველო დაწესებულებათ უნდა ჰქონდეთ სასმელად მხოლოდ ახალ-ნადუღი გაციებული წყალი დახურულ ჭურჭელში ზედწარწერით: „ნადუღი წყალი".

7. ეპიდემიის დროს სოფელში ფეხის ადგილებისა და სიბინძურეთა ორმოების გაწმენდა შეიძლება მხოლოდ სანიტარულ-აღმასრულებელი კომისიის მიერ დადგენილ საშუალებებით მით უვნებელ ქმნის შემდეგ.

8. სოფელში ხოლერის გაჩენის შემდეგ ყველა საზოგადო და სამრეწველო დაწესებულებებში, სადაც კი ხალხი იკრიბება, აგრეთვე საერთო ფეხის ადგილებში, უნდა ხდებოდეს დეზინფექცია დღეში ერთხელ მაინც იმ საშუალებით, რომელსაც უჩვენებს სანიტარულ-აღმასრულებელი კომისია.

9. ეპიდემიის დროს ყოველგვარი უწმინდურობის გატანა სახლებიდგან, სადაც ხოლერით ავადმყოფნი აღმოჩნდნენ, აკრძალულია სანიტარული ზედამხედველობის ნება დაურთველად, რომ უფრო აღასრულონ საჭირო დეზინფექცია.

10. აკრძალულია რეცხვა სარეცხისა, ფარდაგებისა და სხვა რამისა მდინარეებში, წყაროზედ, ღელეებში, არხებში, ჭებთან და აბანოებში. აკრძალულია უწმინდურობის გადაყრა მდინარის პირზედ, წყაროებთან, ღელეებში, არხებთან და ჭებთან, აგრეთვე ტყავებისა და მატყლის დალბობა, რომლისთვისაც სანიტარული კომისია უჩვენებს ცალკე ადგილს.

11. საქონლის დაკვლა შეიძლება მხოლოდ დანიშნულ ადგილებში.

12. ეტლებსა, ურმებსა და ტახტრევანების, რომლებითაც ავადმყოფი გადაიყვანეს, უნდა პოლიციისა ან სანიტარის მოთხოვნილებით დეზინფექცია ექმნას.

13. ამ სავალდებულო დადგენილებათა ან მასზედ დაფუძნებულ პოლიციელის ან სანიტარის მოთხოვნილებათა დარღვევაში დამნაშავეთ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით დაატუსაღებენ სამი თვით ან დააჯარიმებენ 300 მანეთით.

14. ეს სავალდებულო დადგენილება კანონიერ ძალაში შედის მისი სასოფლო კრებებზედ ყოველს სოფელში ცალკე გამოცხადების შემდეგ.

## სინემატოგრაფის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

სინემატოგრაფი დიდებული საქმეა თუ ხეირიანად გამოიყენებს ადამიანი. საჯარო სინემატოგრაფების მისწრაფებაა რაც შეიძლება მეტი ხალხი მიიზიდოს და ფული მოიგოს. ამ მიზნის მისაღწევად სინემატოგრაფის პატრონები სცდილობენ რაც შეიძლება ახირებული და უცნაური სურათები იქონიონ. ხშირად სინემატოგრაფი თავისი სურათებით, უშინაარსო, ულაზათო, რყვნის ხალხის გონებას, მის ზნეობას, წარმოდგენას. ძლიერ ცუდი გავლენა აქვს სინემატოგრაფებს ბავშვებზედ, მოსწავლე თაობაზედ, რომლებიც დიდის სიამოვნებით დადიან ილლიუზიონებში, იქ ისეთ სურათებს ნახულობენ, ისეთი კითხვები ებადებათ, რომლებიც დიდ ვნებას აყენებს. დღეს სინემატოგრაფი იარაღია მხოლოდ მოგებისა და მეტი მიზანი მას არა აქვს. სინემატოგრაფს კი ადამიანი გამოიყენებდა ძლიერ კარგად და დიდ დახმარებას აღმოუჩენდა სკოლაში, საგნების სწავლების დროს, და აგრეთვე ხალხის ღზრდა განათლებაში. მე მინდა გაცნობო მკითხველებს, თუ რანაირად გამოვიყენეთ სინემატოგრაფი ოდესაში და რას მივაღწიეთ. ოდესაში არსებობს ტეხნიკური საზოგადოება. მან შეიძინა სინემატოგრაფის მანქანა და გადმოგვცა რამდენიმე პირს, საშუალო სკოლის და უნივერსიტეტის მასწავლებლებს. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და გავმართეთ ლექციები სინემატოგრაფის შემწეობით სახალხო და საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის. საქმე ამნაირად იყო დაყენებული. სეანსისათვის ამოვირჩევდით ოთხს სურათს; ორი სურათი იყო უსიაუთოთ ან პეიზაჟი, მოგზაურობა, ან სასაცილო, ორი კი სამეცნიერო სურათი. ერთის შინაარსი იყო ისტორიული ან გეოგრაფიული; მეორე სურათი იყო ან ბუნების მეტყველებიდან, ან შეეხებოდა სხვა და სხვა გვარ ტეხნიკურ წარმოებას. სეანსის დაწყებისში ვინმე ჩვენგანი წაიკითხავდა მოკლე ლექციას, უკეთ ვთქვათ გამართავდა საუბარს 20—30 წუთის განმავლობაში ისტორიულ სურათის შესახებ. ე. ი. ლექტორი მოსაუბრე, რომელიც წინ და წინ გაეცნობოდა სურათს მოჰყვებოდა იმ კითხვის შესახებ, მდაბიო უბრალო ენით (მსმენელთა განვითარების მიხედვით), რომელსაც შეეხებოდა სინემატოგრაფიული სურათი. მაგალითად სურათს ერქვა სახელი „მარია სტიუარტი". ლექტორი მოკლედ მოუყვებოდა მსმენელთ მ. სტიუარტის ისტორიას. საუბრის დროს თან და თან, ან საუბარის შემდეგ უჩვენებდა რამდენსამე სურათს, რომლებიც შეეხებოდა მოქმედ პირთ, ქალაქებს და სხვ. მომხსენებელთა საუბრის დროს; ამის შემდეგ უჩვენებდა თვით სინემატოგრაფიულ სურათს. სურათის ჩვენების დროს ლექტორი სცდილობდა აეხსნა რაც შესანიშნავი ან გაუგებარი იყო მაყურებელთათვის. ამნაირად, საუბარი და სურათები, შეადგენდენ ერთ მთელს და შესაფერ შთაბეჭდილებას ახდენდენ. ისტორიული ანუ გეოგრაფიული სურათის შემდეგ უჩვენებდით სასაცილო სურათს, ან პეიზაჟს, რომლის შემდეგ მეორე ლექტორი შეუდგება თავის საქმეს და გამართავდა საუბარს, აჩვენებდა სურათებს ან საბუნებისმეტყველო შინაარსისას, ან ტეხნიკური წარმოებისას. ჩვენი აზრი იყო იმნაირათ გაგვემართა სეანსები, რომ ჩვენი სურათები სისტემატიურად ყოფილიყო დაწყობილი და თან-თანობით შეგვესრულებინა პროგრამა. სისტემატიური კითხვა ვერ მოვახერხეთ, ვინაიდგან თავის დროზედ შესაფერისი სურათები ვერ ვიპოვეთ, და როდესაც ვიპოვეთ იმდენათ უშინაარსო გამოდგნენ, რომ სარგებლობა შეუძლებელი შეიქნა. ერთ წელიწადს დიდის გაჭირვებით შევასრულეთ სისტემატიური პროგრამა. დავიწყეთ შავის ზღვის სამხრეთი ნაპირიდან, ვაჩვენეთ სურათები უმთავრესი სახელმწიფოების სამხრეთ ევროპისა და გავაცანით მათი ყოფა ცხოვრება და კულტურა; პროგრამას მისდევდენ ჩვენი ამხანაგები ბუნების მეტყველებიც. მეორე წელიწადს სისტემატიური კითხვა სურათების უქონლობის გამო შეუძლებელი შეიქნა და მაშინ ცალკ ცალკე სურათებს, საყურადღებო კითხვების შესახებ ვარკვევდით და ვაჩვენებდით.

რაც შეეხება სურათებს, იმათ ყოველთვის ვქირაობდით, ვიხდიდით თითო მეტრში 6—8 კაპეიკამდე. [illegible]თი სეანსის სურათების სიგრძე სა[illegible] ლოთ 500—600 მეტრს (4 [illegible] თიდან). კითხვასა და სურათებს [illegible] რთავდით ყოველ დღე—სამშაბათსა და ხუთშაბათს გარდა (კვირა-უქმე დღეს სამჯერ 12—6 საათამდე) 4—6 საათამდე.

ჩვენ სინემატოგრაფში უმეტეს ნაწილად დადიოდნენ სახალხო და საშუალო სკოლების მოსწავლენი. კვირა-უქმე დღეობით დადიოდნენ არა მოსწავლენიც. ჩვენ მოველოდით ოლქის მზრუნველისაგან დახმარებას, ჩვენი დაწესებულებისადმი ყურისგდებას, მან არავითარი დახმარება არ აღმოგვიჩინა, ზურგი გვიჩვენა, დირექტორებმა კი ბევრგან განკარგულება გასცეს, არ მიეღოთ ჩვენი განცხადებანი. მიუხედავად ამისა, ჩვენ სინემატოგრაფს საშუალოთ სეანსზედ ესწრება 100—150 მოსწავლე სამი თვის განმავლობაში წარსული წლის დასაწყისში ჩვენ სინემატოგრაფში გაიარა 10,000 მოსწავლემ. ფას ძლიერ ნაკლებს ვახდევინებთ: სახალხო სკოლის მოსწავლეთ 5 კ., საშუალო სკოლისას 10 კ., არა მოსწავლეთ 25 კაპ. მომავალ სამოსწავლო წლიდან მესამე წელიწადი დაიწყება.

მოსწავლენი ყოველთვის დიდის სიამოვნებით და ალტაცებით ეგებებოდენ ჩვენ სურათებს და საუბარს. როგორც მასწავლებლები შემდეგ გადმოგვცემდენ ბავშვები მოსწავლენი სკოლაში დიდ ბაას ასტეხდენ ნახულსა და გაგონილის შესახებ. ეკითხებოდენ სხვა და სხვა საგნების შესახებ მასწავლებლებს, ისტორიისა, გეოგრაფიის, ბუნების-მეტყველების გაკვეთილებზედ, მოიგონებდენ ნახულს. ერთის სიტყვით შედეგი ის იყო, რომ ბავშვებს აღეძრათ ინტერესი სხვა და სხვა საგნებისადმი, ამუშავდა მათ გონება, განვითარდა მათი წარმოდგენა და სხვა. რასაკვირველია, სისტემატიური სურათები, სისტემატიური საუბარი, შეფარდებული იმ საგნებთან, რომელსაც გადიან სკოლაში, უფრო მეტს ნაყოფს მოიტანს.

ორი წელიწადი ვცადეთ და შედეგებმა დაგვაკმაყოფილა. ჩვენ და-

---

ლი, მაგ., ჰუნგრეთი, გერმანია და, განსაკუთრებით, რუსეთი, მიმართავს ხოლმე წვრილ ეროვნებათა ძალდატანებით გადაგვარებას. ასეთს შემთხვევაში მთავრობა მხოლოდ ერთი გაბატონებული ერის ენას სცნობს და აცხადებს სახელმწიფო ენათ, სხვა ხალხთა—„ინოროდცების"—ენას ბეჯითად სდევნიან სკოლებსა და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან. ავტოკრატიულმა რუსეთმა ამ მხრივ ყველა სახელმწიფოებს წინ უსწრო: 1905 წლამდის რუსეთში აკრძალული იყო წიგნების ბეჭდვა ბევრს „ინოროდცების" ენაზე და იქ კი, სადაც ხალხი იკრიბებოდა ხოლმე, სამშობლო ენაზე ლაპარაკის ნებასაც არ აძლევდნენ. მაგრამ, სინამდვილემ დაგვანახვა, რომ ასეთი ზომები მიზანს ვერ აღწევს: ცალკე ერები ისევ ცალკე ეროვნებათ რჩებიან და ხშირად მეტს უნდობლობასა და სიძულვილსაც იჩენენ გაბატონებული ერის მიმართ. მართალია, ძალდატანებითი ასიმილიაცია აგვიანებს და ხან და ხან საუკუნოებითაც აჩერებს კიდეც წვრილი და დაბალ-კულტურიან ეროვნებათა განვითარებას, მაგრამ, როცა კი ეროვნული თვით-შეგნება ოდნავ მაინც იღვიძებს, იბადება ისეთი მორალური ძალა, რომელსაც ფიზიკური ძალა ვეღარა სძლევს. ამის მაგალითებს თვით რუსეთშიაც ვხედავთ. რუსეთის ბიუროკრატიის შოვინიზმით გაჟღენთილი წარმომადგენლებიც იძულებული გახდნენ არა-ერთხელ უარეყოთ უძლურება და უაზრობა გარუსების პოლიტიკისა პოლონეთში, მაგრამ სავსებით კი ვერ დაუღწევიათ თავი ამ ბარბაროსობისთვის. გარდა პოლონელებისა, სხვა, უფრო სუსტი ერებიც გაუმკლავდნენ ამ ძალდატანებით ასსიმილიაციას. მიუხედავად ყოველგვარ დევნა-შევიწროვებისა, ლიტველების ეროვნული განვითარება არ შეჩერებულა, პირიქით, ჩვენს დროში მათ საკუთარი ლიტერატურა და თავისი პრესსაც აქვთ. (ამ მხრივ აღარას ვამბობ ქართველებზე, რადგან მასზე ბევრი დაიწერა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. სხვათა შორის იხ. 1909 წ. „დროება", № 18). ხშირად ეროვნული დევნა-განვითარების ნაცვლად სულ სხვა შედეგებს იძლევა. ბუნებრივ გზაზე დამდგარი ასსიმილიაცია ტლანქი გარეგანი ძალის ჩარევით სწყდება; საკუთარ ეროვნების დაცვა თვით მიზნად ხდება და ასსიმილიაციაც დანაშაულად ითვლება. ეს კიდევ ცოტაა: ეროვნული ჩაგვრა-შევიწროება აუცილებლად სეპარატისტულ ტენდენციასაც იწვევს; დაჩაგრულ ერს ებადება აზრი, შექმნას საკუთარი სახელმწიფო, რომლის მეოხებით იგი თავისუფალ განვითარებას მოელოდება.

თუ ასეთი აზრის განხორციელება შეუძლებელი ხდება, მაშინ ამის ადგილს მეორე იდეა იჭერს—სხვა სახელმწიფოსთან შეერთება, იმ სახელმწიფოსთან, რომელიც უფრო პატივისცემით და ადამიანურად მოეპყრობა მის ეროვნულ უფლებებს. უფლებრივ დემოკრატიული სახელმწიფო მეტს გარანტიას იძლევა ეროვნებათა შევიწროების მოსასპობად. სადაც პიროვნების თავისუფლება უზრუნველყოფილია, იქ შესაძლებელია ადვილად გადასწყდეს ეროვნებათა დევნის მოსპობის საკითხი და იქ შეიძლება ვილაპარაკოთ ერის თვით-შეგნება თვით გამორკვევის უფლებაზე. თვით გამორკვევა კი სხვა და სხვა გზით შეიძლება. ერთი გზა იმ ქვეყნების ავტონომიის განვითარებაში მდგომარეობს, თუ სახელმწიფოში სხვა და სხვა ერთა რიცხვი ძლიერ არ სჭარბობს ერთა მეორეს, მაშინ ცალკე ქვეყნების ავტონომია ფედერატიულად ეწყობა. *)

იმ შემთხვევაში კი, როცა სხვა და სხვა ერები ერთმანეთშია არეული, ეროვნებათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აარსებენ განსაკუთრებულ კანონმდებლობას. ამ შემთხვევებში თვითეული ერი უზრუნველ ყოფილია იქონიოს საკუთარი სასწავლებლები, ყველა ენას თანასწორი უფლება ეძლევა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ცხოვრებაში და სხვა ამნაირ ურთიერთ შორის დამოკიდებულებების გაუმწვავებლად ეწყობა სხვა და სხვა ეროვნებათა ცხოვრება ერთსა და იმავე სახელმწიფოში.

სხვა და სხვა ეროვნებათა ასეთი თანაცხოვრების მაგალითს ვხედავთ ინგლისის ახალშენებში მაგ. კანადაში მშვიდობიანად სცხოვრობენ ერთად კანადელი-ინგლისელები და კანადელი ფრანგები; სამხრეთ აფრიკაში კი—ინგლისელები და ბურები. მართალია, მათ შორის სასტიკი ომი იყო ატეხილი, მაგრამ იგი გამოიწვია ინგლისელების ექსპანსიურმა პოლიტიკამ და არა ეროვნულმა უთანხმოებამ. ესეც არ იყოს, საუკეთესო მაგალითს შვეიცარია გვაძლევს. აქ ერთ პატარა ტერიტორიაზე ოთხი სხვა და სხვა ეროვნება სცხოვრობს, მაგრამ ფედერალიზმის ფართო განვითარება და ყველა ენათა სრული თანასწორ უფლებიანობა სპობს მათ შორის ყოველგვარ ეროვნულ უთანხმოებას. მე-20 საუკუნის პირველმა წელმა ხომ მშვენიერი მაგალითი მოგვცა: ავსტრალიის ახალშენები 1901 წელს ერთ ფედერაციად შეერთდნენ.

მაგრამ, ამასთანავე მეორე მაგალითსაც ვხედავთ. ავსტრიაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონით ყველა ხალხები უფლებით გათანასწორებულნი არიან, ეროვნული შუღლის მოსპობა იქ მაინც შეუძლებელი შეიქმნა. ხან და ხან ეს უთანხმოება ისე მწვავდება, რომ თვით სახელმწიფოს მთლიანობისთვისაც საშიში ხდება. მაგრამ, ეს გარემოება ავსტრიის ცხოვრებაში უნდა აიხსნას იმით, რომ იქ ჯერ კიდევ არ არის დემოკრატია საკმაოთ განვითარებული. ისტორიული მიზეზების გამო ავსტრიის ერებს ჯერ კიდევ სხვა და სხვა სოციალური ძალა და მნიშვნელობა აქვთ. ავსტრიის მცხოვრებთა მაღალ კლასსებს გერმანელები, პოლონელები და იტალიელები შეადგენენ; ამიტომ ესენივე არიან სხვა და სხვა პრივილეგიებით, უპირატესობებით აღჭურვილნი; ეს კი შურსა და უკმაყოფილებას იწვევს სხვა ერებში. გარდა ამისა ავსტრიის ერებში ურთიერთ შორის კეთილ-დამოკიდებულებების დამყარებას ხელს უშლის ჯერ კიდევ არსებული ისტორიული ტრადიციები. მხოლოდ დემოკრატიის სრული გამარჯვებით თუ მოისპობიან ავსტრიის ერთა შორის ეს უთანხმოებანი, როგორც ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილებში და ახალ ზელანდიაში მოხდა. დემოკრატიის გამარჯვების საჭიროება ავსტრიის მთავრობამაც შეიგნო და ამიტომ იმანაც გაატარა უკვე დემოკრატიული რეფორმები საარჩევნო უფლებებში.

ეროვნული დავა-უთანხმოების გადასაწყვეტათ დემოკრატიამ უკვე მოსძებნა ახალი გზა,—ეს ეროვნული ავტონომიზმია. ეროვნული ავტონომიზმი მოითხოვს რაც შეიძლება მეტი ფუნქციების გამოყოფას სახელმწიფოდან, იმ ფუნქციებისას, რომელიც ეროვნულ ინტერესებთან მტკიცედ არის შეკავშირებული. ეს ფუნქციები თვით ეროვნულ ორგანიზაციებს უნდა გადაეცეს. თანამედროვე ცხოვრება დიდის მანძილით დაშორდა იმ დროს, როცა სახელმწიფო სრულებით ჩაყლაპავს უქადდა პიროვნებას. პიროვნება, როგორც საერთო ორგანიზაციის წევრი, შეგნებულად განიმსჭვალება სახელმწიფოს ყველა მოქალაქეთა ინტერესებით, მაგრამ, ამავე დროს ის თავის სხვა ინტერესებით უერთდება სხვა ჯგუფებსაც, მაგალითად, სარწმუნოებით ან პროფესსიით გაერთიანებულ ჯგუფებს. ხშირად მოქალაქენი სხვა და სხვა ეროვნებათა და კულტურულ-ისტორიულ ჯგუფებს ეკუთვნიან, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არაფერი საფრთხეს არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სიმტკიცისათვის. განსაცდელში სახელმწიფო მაშინ ვარდება განსაცდელში როცა სახელმწიფოის გაბატონებული ერი და მისი მთავრობა შესაფერი პატივისცემით არ ეკიდება ეროვნებათა და პიროვნებათა უფლებებს. სარწმუნოებრივი დევნა და კლასობრივი პოლიტიკაც ძლიერ ასუსტებენ მოქალაქეთა სახელმწიფოებრიობის გრძნობებს, ახდენენ პატრიოტიზმის ატროფიას ქვეშევრდომთა ფართო წრეებში. ყველა ასეთი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად უნდა მოისპოს ეროვნებათა დევნა-შევიწროება სახელმწიფოში, უნდა გამოცხადდეს სრული სარწმუნოებრივი თავისუფლება და ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილ იქნას კლასობრივი პოლიტიკა.

როცა ერთსა და იმავე სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა შორის არ არის ეროვნული შუღლის წარმომშობი და გამაღვივებელი პირობები, მაშინ ერები თან და თან უახლოვდებიან ერთმანეთს და ისპობა მათ შორის ერთმანეთისაგან გათიშვის ტენდენციაც. ამნაირად, თანამედროვე დემოკრატიულ-სახელმწიფოს მიზნებსა და ეროვნების თავისუფალ განვითარების შორის წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ. პირიქით, რადგანაც სახელმწიფოს ძლიერება განიზომება მის მცხოვრებთა კულტურულ განვითარების სიმაღლით და რადგან ეს განვითარება ეროვნულ კულტურათა ნიადაგზე უკეთესად სწარმოებს, ამიტომ სახელმწიფოსა და ეროვნებათა მიზანთა შორის ნამდვილად ჰარმონია არსებობს და არა წინააღმდეგობა. მცირე კულტურის პატარა ნაკადულები ანაყოფიერებენ შედარებით პატარა რაიონებს. კულტურის მიმზიდველი ძალა სწორედ იმ დირებულობაში გამოიხატება, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ეძლევა და არა იმ ძალაში, რომელიც მას ესარჩლება, მხარს უჭერს და იცავს. როსინმა, მოლიერმა, ვოლტერმა, რუსსომ შეჰქმნეს საფრანგეთის ძლიერი კულტურა, მაგრამ ლიუდოვიკ XIV-ისა და ნაპოლეონ I-ის არმიებს მისთვის არაფერი არ შეუმატნიათ. კულტრას გოტემ და შილლერმა და გერმანელმა ფილოსოფოსებმა და მეცნიერებმა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა მისცეს ჯერ ისევ ბისმარ-

*) ამ საგნის შესახებ იხ. „Правительства и политическія партіи въ госуд. зап. евр." А. Лоуэль, აგრეთვე რწხილაძის „შვეიცარიის კონსტიტუცია". 1906 წლ.

ვრწმუნდით, რომ სინემტოგრაფს დიდი მნიშვნელობა მოელის სკოლების სწავლის დროს, დიდი მნიშვნელობა ექნება სახალხო აუდიტორიებში. თუ მე გავბედე აქ ამ პატარა საქმის ისტორიის მოთხრობა იმ მოსაზრებით რომ შეიძლება აქაც ვისარგებლოთ სინემატოგრაფით და დავეხმაროთ მოსწავლეებს და ავარიდოთ საჯარო სინემატოგრაფებს, სადაც ძლიერ ცუდ სულიერ საზრდოს აძლევენ ჩვენ მოსწავლეთ.

**სიმ. აგალიანი.**

# პატარა ფელეტონი

## ნაზრძნოზი

შენც გნახე, კახეთო!

მაგრამ გნახე კი, ვით უნდა ნახვა?

არა, არ შემისწავლიხარ.

მხოლოდ თვალმა გადაგირბინა, მაგრამ გულს მაინც ჩარჩა შენი გოლიათური სილამაზე, შენი ბუმბერაზული მშვენება.

შეიძლება შესწავლას დაეკარგა კიდეც შენი სიტურფე ჩემს თვალში.

მე ესე მინდა — შორიდან, მოკრძალებით მიყვარდე.

შევხაროდე შენს უცხო ფერუბით მოქარგულს ჭრელ ქათიბსა.

მაბრუებდეს შენი დევ-გმირულად გაშლილი გულ-მკერდი, ეს თვალუწვდენი სივრცე ალაზნის ველისა.

და ქედს ვიდრეკდე ბუმბერაზ დარაჯთ ყინვის მუზარადიან მთათა წინაშე.

ეგ შენი მიუწვდომლობა მიჩქროლებდეს სისხლს და კვლავ შენკენ გიჟურად მოვისწრაფოდე.

არა, ვიცი რომ ახლოსაც კარგი ხარ.

მდიდარი და ნაყოფიერი.

მაგრამ სწორედ მაგის გაცნობა დამიკარგავს შენს უცხო იერსა.

იერი და ახოვნება კი დიდი გაქვს და მრავალ-ფერი.

აგერ შენი შვილები: მოსხლეტილი, ბრგე ვაჟკაცები, სახიერი. ტანწერწეტა ქალები.

„მაგრამ რამდენად უფრო მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“.

ჯერ კიდევ გძინავს, გმირთა სავანევ, ტურფა კახეთო!

მაგრამ სამშობლო ილიასი, პატარა კახის დიდ ხანს იძინებს?

რაღაც გამოუთქმელი სევდა მიპყრობს შენს შემხედვასა...

მაგრამ მწამს მაინც:

კვლავ შენ შეგვიქმნი დიად გმირებს მშვენებით სრულსა.

შენს ბუნებას ლუღუმბერაზო არა მოსდგამს-რა.

აგერ მალე გადაიწიწნებს შენს გულ-მკერდზე ორთქლ-მავალი და შენთა შვილთა გმირული, თავისუფლად გამომყურე თვალები, ეხლა შემკრთალნი, გაუგნებელნი...

ნ ხავენ სანახავებსა.

**შალვა დადიანი**

# აღმოსავლეთი

### დიდი ვეზირის მოგზაურობა.

ინგლისის გაზეთების ცნობით სტამბოლში დიდ მნიშვნელობას აძლევენ დიდი ვეზირის ევროპაში მოგზაურობის განზრახვას. იმედი აქვთ, რომ ამ მოგზაურობამ შეიძლება წინ წასწიოს კრიტის საკითხის საბოლოო გადაწყვეტის საკითხი. დღევანდელი მდგომარეობა არ მოსწონს ოსმალებს. ოსმალეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მტკიცეთ მოითხოვოს ევროპის სახელმწიფოებისგან მიიღონ ოსმალეთის პროგრამა კრიტის შესახებ.

### ოსმალეთის მთავრობის განცხადება შეთქმულობის შესახებ.

ოსმალეთის მთავრობამ შეატყობინა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომ აღმოვაჩინეთ საიდუმლო შეთქმულება, რომელსაც მეთაურობდა შეხიფ-ფაშა. ამ ცნობის მიხედვით, მაშინ აღმოუჩენიათ ფარულ შეთქმულობის არსებობა, როდესაც ის იყო კომიტეტი მის მოქმედებას შესდგომია.

დაპატიმრებულნი ყველანი მოხელენი ყოფილან, კომიტეტისაგან ისინი მოელოდნენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ფარულ საზოგადოების მიზანი იყო რამდენიმე ტერორისტული აქტი შეესრულებინა. მოეკლა ზოგიერთი მინისტრები და პალატის წევრები. განზრახვა ჰქონდათ ახალი კაბინეთი შეედგინათ ოპოზიციის წევრთაგან და პალატა დაეთხოვათ.

ფარულ საზოგადოების კომიტეტი ორ განყოფილებისაგან შესდგებოდა. ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობდა რიზა-ნური, ხოლო მეორეს ბრიგადის ყოფილი გენერალი ნატიკი.

პოლიციამ შეიტყო კომიტეტის ყველა წევრთა ვინაობა. დააპატიმრეს რიზა-ნური, რომელსაც უნახეს დიდძალი მიწერ მოწერა შერიფ-ფაშასთან რომელიც პარიზში სცხოვრობს.

ამ საქმეში ჩარეულია არაბთა ერთი დეპუტატი, რომელიც საზღვარ გარედ იმყოფება.

### წყალ-დიდობა არზრუმში.

ივნისის ბოლო რიცხვებში დიდი ნიაღვარი იყო არზრუმის ვილაეტში. დიდი ზარალი მოუვიდათ ადგილობრივ მცხოვრებთ.

### სარევოლიუციო მოძრაობა ინდოეთში.

ინდოეთში პოლიცია იარაღს ეძებს და ამის გამო სჩხრეკავს მკვიდრთა ბინებს. კალკუტაში იარაღის დიდი საწყობები აღმოაჩინეს. სასამართლო მალე შეუდგება დაპატიმრებულ ბენგალიელთა საქმის გარჩევას. მოწმეებად გამოწვეულნი არიან ცნობილნი ადგილობრივი მოღვაწენი.

### საუბარი სათარ-ხანთან.

„რუსკ. სლოვ.“-ს თანამშრომელს ულაპარაკნია სათარ-ხანთან სეიდ-აბდულას მოკვლის შესახებ. სეიდ-აბდულას მოკვლაო, უთქვამს სათარ-ხანს, შემთხვევითი მოვლენა არ იყო, ის არც პირადი მტრობით იყო გამოწვეული, არც ავაზაკობით იყო ხადენილი. პირიქით, სეიდ-აბდულა მსხვერპლია ტერორისა, რომელიც ახალ რეჟიმის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ ტერორს ასულდგმულებენ სამღვდელოების უმაღლესი პირები. ბოროტ-მოქმედთა ორგანიზაცია უკვე აღმოვაჩინეთ ვიცი პირდაპირ, ვინც მოჰკლა სეიდ-აბდულაო, მაგრამ ჯერ არ განვაცხადეთ. მაგრამ დამალვით არ დავმალავ, რადგან ამ საქმეში ურევიან ცნობილნი პირნი და მეჯლისის ზოგიერთი დეპუტატიცაო.

### ბერძნების შეიარაღება,

სალონიკის ყურეში ბერძნებმა გემმა იარაღი მიზიდა ნაპირზე. უკვე გადასცალეს იარაღითა და სამხედრო სურსათით დატვირთული გემი. ოსმალეთის საბაჟო სცდილობდა დაეჭირა ეს გემი, მაგრამ გაუსხლტა ხელიდან. გემი საბერძნეთის წყლებში მიიმალა.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ბერძნებით სტამბოლ-სალონიკის ლიანდაგის გასწვრივ დარაჯები დააყენეს. ამ გზით ბერძნებს იარაღი შეაქვთ საბერძნეთში.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** ვალერიან გუნიას გასტროლი. შაბათს, 10 ივლის ვ. გუნიას მონაწილეობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა: „მეგობრობა“ წარმოდგენამ საზოგადოთ გვარიანათ ჩაიარა. მეტად კარგი იყო ვ. გუნია არჩილის როლში. ნამეტნავად მესამე და მეოთხე მოქმედებაში. მესამე მოქმედებაში მან საუცხოვოდ დაგვიხატა ცოლის გარყვნილებაში დარწმუნებული, მასზე გულგატეხილი და ცოტათი შექეიფიანებული ადამიანი. ესევე საუცხოვოდ დაგვიხატა მან მეოთხე მოქმედებაში დაჭრილი, დასუსტებული მოხუცი მამის როლი. საუცხოვო იყო ეგრეთვე ვ. გუნია მაშინ, როდესაც ის თავის თავგადასავალს და თავის ცხოვრების შესახებ ელაპარაკება ელიკოს. აქ ყოველი მისგან წარმოთქმული სიტყვა გრძნობით ალსავსე იყო. არ მოგვეწონა ამ საღამოს თამარ ორდელის როლში ნ. ჯავახიშვილი. ქართულ ენას კვლავ ამახინჯებს. გარდა ამისა ჩემის აზრით თამარ ორდელის როლი მის ამპლუას არ შეადგენს, დრამატიული როლების თამაში არ ემარჯვება.

გვარიანათ ჩატარა ფუქსავატ ინტელიგენტის ვიქტორ კახიბის როლი ნ. გვარაძემ. საუცხოვოდ შეასრულა ელიკო ლომაურის როლი თამარა გოგოლაშვილმა რომელმაც ხელოვნურად დაგვიხატა სცენაზედ ელიკოს ობლობა და საუცხოვოდვე გადმოგვცა ამ ობლობისაგან გამოწვეული გრძნობები. სამწუხაროდ საერთოდ თამაშს ბევრი დააკლო საზოგადოების თვალში კატო ლომაურის როლის ალმასრულებელმა ქ-ნმა №—მა. მოუხეშავმა თამაშით მან როლიც კი არ იცოდა. ჩემის აზრით ძრიელ შესცდა რეჟისორი, როდესაც ასეთი პასუხსაგები როლი მისცა ამ ქალბატონს, რომელიც თუ არ ვსცდები სცენაზე პირველად გამოდის. არა უშავდა რა არც ვალ. შალიკაშვილს სარდიონ უბადრუკიძის როლში. დანარჩენები ცოტა არ იყვნენ სუსტობდნენ. ა. ქუთათელაძემ თუმც როლი იცოდა, მაგრამ სცენაზე მოთამაშეს მარტო როლის ცოდნა არ ეყოფა. ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრედვე იმანაც, რომ სანდრო ქავთარაძეს, როდესაც მან არჩილი უნდა დასჭრას, რევოლვერი არ გაუვარდა. მეოთხე მოქმედებაში კი გვესმის, რომ არჩილი დაიჭრა ქავთარაძისაგანო, როდესაც პირველმა მას სილა უთავაზა. ჩვენ კი, საზოგადოება, ამ სცენის მოწამენი ვიყავით, მაგრამ დაჭრით კი არავის დაუჭრია ამ დროს არჩილი, თუმც ამოიღო ლევორველი სანდრო ქავთარაძემ. დაუმიზნა არჩილს, მაგრამ არ გაუვარდა.

**მაღალი.**

# რუსეთი

✦ **სტოლიპინის წყალობა.** როგორც გაზეთები გვატყობინებენ ამ მოკლე ხანში განზრახულია ლიფლიანდიის გუბერნიაში გაძლიერებულ წესების მოხსნა. ამის შესახებ საკითხი უკვე აღუძრავს მინისტერთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს, რომელიც რიგაში ყოფილა და კარგი შთაბეჭდილება გამოუტანია.

✦ **რუსების დაპატიმრება.** პარიზში დაუპატიმრებიათ ოთხი რუსი, რომლებსაც გაუქურდავთ ადგილობრივი ქურქჩი და რამდენიმე ათი ათასი ფრანკის ღირებულების ნავთები მოუპარავთ. დაპატიმრებულებს განუცხადებიათ, ჩვენ ანარქისტები ვართ და იმ მიზნით გავქურდეთო, რომ ფული გვეშოვა და ყუმბარები დაგვემზადებინაო. პარიზშივე, რუს რევოლიუციონერთა შორის დააპატიმრეს ერთი სრულიად უცნობი კაცი. ჰფიქრობენ დაპატიმრებულნი უბრალო ქურდები არიან და არა ანარქისტები.

✦ **ლექციის აკრძალვა.** ვიატკაში ვიცე გუბერნატორმა ნება არ დართო პროფესსორ ქაკოვის წაეკითხა ლექცია ლ. ანდრეევის „ანათემაზე“.

✦ **არა ჩვეულებრივი მოვლენა.** პეტერბურგში, 9 ივლისს, სამშობიარო თავშესაფარში ერთმა ქალმა სამი ბავშვი დაბადა. ორი ცოცხალია, ხოლო მესამე ერთი სათის შემდეგ მოკვდა.

✦ **შვილის გაუპატიურება.** 9 ივლისს ეკატერინასლავში კიევიდან მოიყვანეს გლეხი პოროსინოკი, რომელიც სინდისის ქენჯნის გამო თითონვე გამოცხადებულა პოლიციაში და უამბნია, ამ ორი წლის წინად გავაპატიურე ჩემი 11 წლის ქალი და რამდენიმე ხანს ერთად ვცხოვრე, მერე სინდისის ქენჯნამ შემაწუხა, კიევში გავიქეცი; მაგრამ ვერც იქ ვპოვე მშვიდობა და გადავწყვიტე გამოვცხადებულიყავ პოლიციაში და მეღვიარებინა დანაშაულიო.

✦ **ქალთა მედიკურ კურსებზედ.** წელს კიევის ქალთა მედიკურ კურსებზედ შარშანდელზედ გაცილებით მეტი მთხოვნელია და იმის და მიუხედავად, რომ თხოვნების შეტანის დრო დანიშნული 15 ივლისიდგან 15 აგვისტომდე, თხოვნების გზავნა უკვე დიდიხანია დაწყებულია. წელს დამატებითი ეგზამენის დაჭერის მოწმობა მიღების დროს სავალდებულო არ არის. ამ გვარი მოწმობების მიტანა კურსებზედ მისწაელეთ შეუძლიანთ ერთი წლის განმავლობაში. ეხლა კი საჭიროა დედათა გიმნაზიისა, ეპარქიალურისა ან სხვა ამ გვარი სასწავლებლის გათავების მოწმობა. თავისუფალი ადგილი სულ 300. ამიტომ კურსებზედ მიიღებიან ატესტატების კონკურსით.

✦ **კომერციულ ინსტიტუტში.** ცნობა იმის შესახებ, ვითომ კომერციულ ინსტიტუტს უფლებები უკვე მიეცა სიმართლეს მოკლებულია. როგორც გამოირკვა, ამ უფლებებმა უნდა ჯერ დანიშნული კანონმდებელი ინსტანციები გაიაროს.

# წერილი რედ. მიმართ

გუშინდელ სურამში გამართულ სალიტერატურო საღამოს რეცენზიაში ბ-ნი გ. ახალციხელი სამართლიანად აცხადებს საყვედურს, რომ ზოგიერთი გვარს აცხადებინებს და შემდეგ მონაწილეობას აღარ იღებსო. ამის შესახებ მოვალედა ვსთვლი ჩემ თავს შევნიშნო შემდეგი: ორშაბათს დილით, როცა ჯერ არც-ერთი განცხადება არ იყო დაბეჭდილი შ. საფაროვს გამოვუცხადე, რომ ვერ მივიღებ მონაწილეობას და ნუ გამომაცხადებენ. იმავე საღამოს დრამატიულის ბ.ნაზედ შევიარე, სადაც იყვნენ ნარკანი, ტ. რამიშვილი და სხვ, რომელთაც გამოვუცხადე, რომ ვერ წამოვალ და ვთხოვე გადაეცათ ეს გამგესთვის, რომელიც შეხვდებოდა. მეორე დღეს, ალბად შეცდომით, მით, მაიმც მოვყვე განცხადებაში. იმავე დღეს შევხვდი გამგეს და გადაჭრით ვუთხარი, ნუღარ გამომაცხადებენ, რადგან ვერ წამოვალ მეთქი. შემდეგ განცხადებაში კი უკვე ამოშლილი ვიყავი.

ჩემი მხრივ მე მგონი კმაროდა ასეთი განცხადება, რომ არც შეცდომაში შემეყვანა ვინმე და არც ესაყვედურა ვისმეს რამე.

**ლევ. მეტრეველი.**

—

ქართველი ერის ცხოვრებაში მეტად შესანიშნავი ფაქტი ხდება, მისს კულტურულ გაუცნობლობა—კარჩაკეტილობას, რითაც გულნატკენია საზოგადოთ ჩვენი ინტელიგენცია, ბოლო ეღება და, თუ დღემდის ევროპაში მცხოვრებ ქართველი ახალგაზდობის მიერ ჩვენი კულტურის ევროპიელებთან გაცნობა მხოლოდ სადამოების მართვაში გამოიხატებოდა. ახლო მომავალში ქ-ნ სკარჟინსკაიას მეოხებით ქართველი ერი თავისი კულტურული სახით წ მოსდგება ევროპის წინაშე. ქ-ნ სკარჟინსკაია შვეიცარიის ქალაქ ლოზანნაში აარსებს რუსულ მუზეუმს, სადაც იქნება ქართული განყოფილება როგორც მკითხველი ხედავს შვეიცარიაში,—ამ უცხო ტომთა და მოგზაურთა ქვეყანაში, ქართული მუზეუმი დიდს სამსახურს გაგვიწევს, გააცნობს ჩვენს კულტურას, და სხვ. იმედი გვაქვს ქ-ნ სკარჟინსკაიას ასეთ სიმპატიურ განზრახვას ყველა სიამოვნებით მიეგებება. სხვათა შორის ქ-ნ სკარჟინსკაიას სურს დაამაროს ქართველებს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაში ქ-ნ ს—კაიას ყურვილი ქართული მუზეუმის გახსნის და ქართველების დახმარების შესახებ, ჩვენმა დელეგანტებმა გ. ბ. ანტონ ქორქოლიანმა და ნიკოლოზ ქარცივაძემ გადმოგვცეს, რომლებიც ქ-ნ ს—ას წინადადების გამო გაგზავნილ იყვნენ ლოზანაში მასთან მოსალაპარაკებლად. ქ-ნ სკარჟინკაიას განზრახვის შესახებ უკვე ვაცნობეთ წ.-კ.-გ საზოგადოებას და იმედი გვაქვს ეს ჩვენი კულტურული დაწესებულება საქმეს ჯეროვანი ენერგიით მოეკიდება.

ჟენევის ქართველ სტუდენტთა და კალონიის საურთიერთო დამხმარებელ კასსის

**გამგეობა.**

—

ლიხაურის ორ-კლასიანი სკოლის ზედამხედველი დიმიტრი შარაშანიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 9 ივნისს ამა წელს გარდაცვალებულის ბენურ ბებურიშვილის სახსოვრად მისმა პატივისმცემლებმა შესწირეს ლიხაურის ორ-კლასიან სკოლას 66 მ.ნ. 55 კ., რომ ამ ფულით შევიძინოთ ქართული და რუსული წიგნები და მოვათავსოთ ერთს განჯინაში შესაფერის ზედწარწერით.

სია შემომწირველთა: ბაბილინე ბებურიშვილისამ 25 მ., ერასტი გორდელაძემ, ნოე კვირკელიამ და გიორგი გოგოლაშვილმა ორ-ორი მანეთი, მღვ. ნესტორ, იოსებ და ბენიამინ, კონტრიძეებმა, რაჟდენ, ვლასა და მარკოზ კონტრიძეებმა მღ. სერგო გალოგრემ, დიმიტრი შარაშანიძემ, გიორგი ქილიფთარმა, გერასიმე გოგონაძემ, ვლადიმერ თოიძემ, თეოფილე გოგიტიძემ, იაგორ ლომინაძემ, თ. ერმილე ნაკაშიძემ, ირაკლი ბებურიშვილმა, ფარნაოზ ურუშაძემ, ნოე ვასაძემ და ნოე თოიძემ თითო მანეთი. მოსე თალაკვაძემ, არსენ ვადაჭკორიამ, კონსტანტინე, მიტროფანე და ანტონ კონტრიძეებმა, ლომკაცი აბაშიძემ, დიომიდე შავიშვილმა, ვლადიმერ ქაიხოსროძე ძემ და ვლადიმერ ვახუშტის ძემ, სილევან, სამუელ თოიძეებმა, ანდრია ქამჯარაძემ, ირაკლი სალუქვაძემ, ივანე გოთუამ, ფილიპე ურუშაძემ, ნიკო ვაშაყმაძემ, დათა შავიშვილმა, ლუკა ყარიდიშვილმა, აფრასიონ ლომინაძემ, სიმონ ჭყონიამ, ლუკა რუეშვილმა, და გიორგი რუეშვილმა ათ-ათი შაური. მღ. მაქსიმელ სიხარულიძემ, ბარნაბ მენაბდემ და ისიდორე ურუშაძემ ორ-ორი აბაზი. მთავარ მედავითნემ ჯამულეთი სალუქვაძემ და დიმიტრი ცეცხლაძემ, ექვს-ექვსი შაური; ფარნა გორდელაძემ 25 კ. და მაქსიმელ და არსენ ქამჯარაძემ, მღ. სამსონ შაკიშვილმა სამსონ გოგოტიძემ, ამბაკო ნიმჯარიამ, მიხეილ სიორიძემ კოწია თოიძემ, ივანე ცეცხლაძემ მასიკო ხომერიკმა, ისაია და მელიტონ გოგოლაშვილმა, ივანე ქელიძემ, ვარლამ ვაშაყმაძემ, სერაფიონ გორგოშიძემ, ესე ჭანიშვილმა, ვასილ ნიკოლაშვილმა, გიგილო სალუქვაძემ, ივლიზა ურუშაძემ.ნანიკო თოიძემ და კოწია მემანიშვილმა თითო აბაზი.

ყველა ჩამოთვლილ პირთ უღრმეს მადლობას ვწირავ ჩემდამი რწმუნებულ სკოლისათვის ასეთ შემოწირულებისათვის.

ლიხაურის ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველი **დიმიტრი შარაშენიძე.**


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—143

**გამოვიდა და იყიდება: ტფილისში**

წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთაოვის მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული“ მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალია“, გედევან გედევანოვისადმი, „ბედმა მიღალატა“ ვახო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყი“ და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამოკლებით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე)

**ალ. თუთაევი.** (15—15)

**დოქტ. ნაგახარდიანის** დაარსებული 1880 წელს. (ვორონცოვის ... ...) უოგედ დღე ...

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩაოვანი:** 9½—10 ს. თვალის შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. აბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ა. მულინი:** 10—12 ს. ყურის ცხვირისა და ყელისა.

**გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანის სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგ. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი:** 6— ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევხკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი**

# მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროით, რომელიც პეტერბურგისა 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 |
| | N 3, საფ-ხ.—დღ. | 1 ს. 24 |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 |
| | N 4, საფ-ხ.—საღ. | 10 ს. 4 |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 |
| | N 4, საფ-ხ.—საღ. | 9 ს. 4 |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ—საღამ. | 10 ს. 3 |
| | N 3, საფოსტ.—დღ. | 12 ს. 2 |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 3 |

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

# მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის გაგზავნას უ ფ ა ს ო დ.

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე უფასოდ თითო წიგნს-ბროშურას მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Баратинская 5. Редакція „Мосавали“

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

# „ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის

გარდა ამისა მიეცემა პრემიად სახალხო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) 1. „დედამიწა და ჯუდიანი ვარსკვლავები“—ზღაპარი ეკალდისა; 2. „მარჯნები“—ზღაპარი ეკალდისა; 3. „თერმეტი ...“ ზღაპარი ეკალდისა; 4. ქართული მხატვრული ალბომი კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ღრივე გამოცემა სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათ 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათ 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

**ვ. ყიფიანის დრამა**

# სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევის

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.


კაილდე, მაგრამ ამ რკინის კანცლერს იგი დიდათ არ წაუწევია წინ. შოვინისტური ხასიათის მიცემა მხოლოდ ასუსტებს კულტურის ძალას. ეროვნული კულტურის აღორძინება, რომელიც უხმობს ადამიანური ცხოვრებისათვის, მანამდის მიძინებულს ძალას, კულტურათა მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას სრულებით არ ამცირებს, პირიქით, აძლიერებს კიდეც მათ. მაგრამ, მართალია ისიც, რომ ეროვნულ მოძრაობას ხშირად უარყოფითი შედეგებიც მოჰყოლია: ნაციონალური გრძნობა ხშირად შოვინიზმათაც გადაქცეულა. რეაქციას არა ერთხელ გამოუყენებია თავის სასარგებლოთ ეროვნული მოძრაობა. 1848 წ. ავსტრიაში ძლიერი განმათავისუფლებელი მოძრაობა რეაქციამ მხოლოდ სლავიანებსა, გერმანელებსა და ჰუნგრელებს შორის ატეხილი ეროვნული ანტაგონიზმის ... მხოლოდ ჰუმანიური ლოზუნგები არა ერთხელ ჩაუჩუმებია ნაციონალისტთა შოვინისტურ ყვირილს. მაგრამ აქედან იმ დასკვნას მაინც ვერ გამოვიყვანთ, თითქო ეროვნული მოძრაობა აუცილებლად შოვინიზმით თავდებოდეს. რუსეთში, მაგალითად, ეროვნული მოძრაობა ჰარმონიულად შეუერთდა განმანთავისუფლებელ მოძრაობას და შესამჩნევადაც გააძლიერა იგი: ცალკე ეროვნებათა ბრძოლა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის თავის-თავად განუყრელი იყო იმ ბრძოლისაგან, რომელიც უფლებრივ წესწყობილების მოსაპოვებლად სწარმოებდა. ოციოდე წელიწადიც არ გასულა ავსტრიის განმანთავისუფლებელ მოძრაობის დამარცხებიდან, რომ ავსტრიის სლავიანებმა შეიგნეს თავიანთი მძიმე შეცდომა და კიდეც მოინანიეს იგი. სწორედ ძლიერი რეაქციის დროს აღმოხდა შესანიშნავი ფრაზა სამშობლოსადმი სიყვარულით გატაცებულს პოეტს გრილპარცერს, რომელიც ასე გულდათუთქული შეჰყურებდა ავსტრიის განმანთავისუფლებელ მოძრაობის დაღუპვას. მან სასოწარკვეთით წარმოსთქვა: „კაცობრიობა ნაციონალიზმის საშუალებით კაცთ-მოყვარეობიდან გაზხეცებისაკენ მიდისო“.

პარტიებსა და ეროვნებათა შორის ბრძოლამ ავსტრიაში უკიდურესს გამწვავებამდე 1866 წ. მიაღწია. ავსტრიის გერმანელები მხარს უჭერდნენ 1861 წ. 26 თებერვლის ცენტრალისტურ კონსტიტუციას, რადგან ამით ისინი ბატონ-პატრონები ხდებოდნენ, როგორც სახელმწიფოს უმთავრესი ელემენტები. სლავიანები კი, განსაკუთრებით ჩეხები, პირიქით, იცავდნენ ავსტრიის სამეფოში ფედერატიულ წეს-წყობილებას. 1867 წ. გაიხსნა ავსტრიის რეიხსტრატის პირველი სესსია. მაგრამ რადგან მთავრობამ მოახერხა ჩეხიასა და მორავიაში გერმანელების უმრავლესობის გაყვანა, ამიტომ ჩეხებმა თავიანთი დეპუტატები არ გაგზავნეს რეიხსტრატში. ამავე წელს შესდგა ლიბერალური სამინისტრო; ამ სამინისტროს წყალობით დამტკიცებულ იქმნა იმპერატორის მიერ მთელი წყება ისეთი კანონებისა, რომლებმაც ეს აბსოლიუტიზმის ქვეყანა ნამდვილ თანამედროვე კონსტიტუციონალურ სახელმწიფოდ გადააქცია. კონსტიტუცია მიენიჭა იმ ხალხს, რომელსაც ცოტა ადრე ისე ეპყრობოდნენ, როგორც უენო ჯოგს. 1879 წელს ავსტრიის იმპერატორმა მოიწვია გრაფ ტააფეს სამინისტრო, რომელიც შეუდგა იმპერიის ეროვნებათა შერიგებას თანასწორი უფლებების მინიჭებით.

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ სხვა და სხვა ქვეყნებში უკვე მოიპოვეს ერებმა უფლება ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის და ეროვნული კულტურის განსავითარებლად, ეროვნული თვით გამორკვევის სრული თავისუფლება იცავს ეროვნულ მოძრაობას შოვინიზმისაგან.

**გ. ჭუმბურიძე.**